

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის
N27 ბინაზე, მოქალაქე ელენა სელივერსტოვასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ელენა სელივერსტოვას განცხადება /2013 წლის 01.04 Nს-3979/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის N27 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ელენა სელივერსტოვას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე /საერთო ფართობი 60,39 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 34,99 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,40 კვ.მ./ მოქალაქე ელენა სელივერსტოვას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი